

თამარ ლომიძე
(საქართველო)

ილია ჭავჭავაძის პოეტიკა: ძირითადი ტენდენციები

ილია ჭავჭავაძის პოეტიკისა და მხატვრული აზროვნების ძირითად ტენდენციებში გასარკვევად აუცილებელია იმის განსაზღვრა, კრიტიკული რეალიზმის რა ძირითადი ნიშან-თვისებები იჩენს თავს მის შემოქმედებაში (საკითხი კრიტიკული რეალიზმის იმ *იდეებისა და იდეალების შესახებ*, რომლებიც ილიას ნაწარმოებებში ხორცშესხმული, საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანადაა განხილული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ამჯერად ჩვენ მხოლოდ იმ ძირითად პრინციპებზე შევაჩერებთ ყურადღებას, რომლებიც კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის სპეციფიკური მხატვრული აზროვნებისა და პოეტიკისთვისაა დამახასიათებელი). თავდაპირველად უნდა განისაზღვროს, სახელდობრ, რა კრიტერიუმით განსხვავდება კრიტიკული რეალიზმი სხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათაგან. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება ლიტერატურულ მიმდინარეობათა კლასიფიკაციის კრიტერიუმის პრობლემა, რომელიც ლიტერატურის თეორიისა და ისტორიისათვის კვლავინდებურად აქტუალურია.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც ლიტერატურულ მიმდინარეობათა კლასიფიკაციის ინსტრუმენტად გამოდგება, ჩამოაყალიბა რომან იაკობსონმა. კერძოდ, იაკობსონის აზრით, „არაერთხელ აღნიშნულა, რომ რომანტიზმისა და სიმბოლიზმის სკოლებში გაბატონებული იყო მეტაფორა, მაგრამ ჯერ კიდევ საკმარისად ვერ გავაცნობიერეთ ის ფაქტი, რომ სწორედ მეტონიმიის ბატონობა უდევს საფუძვლად ეგრეთ წოდებულ „რეალისტურ“ მიმართულებას, ეს უკანასკნელი კი შუალედური სტადიაა რომანტიზმის დაცემასა და სიმბოლიზმის ჩასახვას შორის და უპირისპირდება ორივე მათგანს“ (იაკობსონი 1990:127). ამგვარად, იაკობსონი განასხვავებს ლიტერატურულ მიმდინარეობებს იმისდა მიხედვით, თუ აზროვნების რომელი მოდული იჩენს თავს თითოეულ მათგანში – მეტაფორა (სინთეზი) თუ მეტონიმია (ანალიზი).

იაკობსონის ამ იდეამ ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება ფილოლოგიაში, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ნაშრომს – ასეთია, მაგალითად, კონსტანცის უნივერსიტეტის პროფესორის, ი.პ. სმირნოვის „მეგაისტორია“ (სმირნოვი 2000), რომელშიც მსოფლიო ლიტერატურის განხილვის საფუძველზე უაღრესად საყურადღებო დასკვნებია გამოტანილი. ლიტერატურათმცოდნეები, ჩვეულებრივ, იფარგლებიან მხოლოდ შეფასებებისა ან კრიტიკული შენიშვნების გამოთქმით იაკობსონისეული დებულებების მიმართ და, როგორც წესი, არ ცდილობენ მათ გამოყენებას ან განვითარებას.

ჩვენ მიერ უკვე ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ, იაკობ-სონის შეხედულების საპირისპიროდ, ქართველ რომანტიკოს პოეტთა მხატვრული აზროვნება – მეტონიმიური, ანალიტიკური ხასიათისაა (იხ. ლომიძე 2014). დაისმის კითხვა: აზროვნებისა და აღქმის რომელი – მეტაფორული თუ მეტონიმიური – პრინციპი იჩენს თავს რეალიზმში და, კერძოდ, ეგრეთ წოდებული კრიტიკული რეალიზმის ქართველ წამომადგენელთა შემოქმედებაში? ბუნებრივია, რომ პირველ რიგში, გასარკვევია, როგორია ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სპეციფიკა. კვლევისას გავითვალისწინებთ ი. სმირნოვის „მეგაისტორიაში“ ჩამოყალიბებულ დებულებებს.

მოსალოდნელი იყო, რომ რომანტიზმისგან განსხვავებით, მე-19 საუკუნის რეალისტურ ლიტერატურაში და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში უპირატეს გამოხატულებას ჰპოვებდა არა მეტონიმია, არამედ – მეტაფორა, ე.ი. არა ანალიზი, არამედ – სინთეზი. მართლაც, ილია ჭავჭავაძის მხატვრული ტექსტების, როგორც კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის ტიპური ნიმუშების განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ რეალიზმის თავისებურება (ყოველ შემთხვევაში, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში) მდგომარეობს საგნებისა და მოვლენების გაერთიანებაში მეტაფორული პრინციპით. როგორც ცნობილია, მეტაფორა ანალოგიის საფუძველზე აერთიანებს განსხვავებულ საგნებს ან მოვლენებს, ანუ, ეძებს ან მიაწერს მათ ანალოგიურ თვისებებს.

უპირველეს ყოვლისა, მეტაფორული პრინციპის გამოხატულებაა ის, რომ ილიას ნაწარმოებებში შერწყმულია სხვადასხვაგვარი ფუნქციები – ერთი მხრივ, მხატვრული, მეორე მხრივ კი – დიდაქტიკური, პოლიტიკური, ფილოსოფიური და ა.შ. შესაბამისად, არაკორექტულია ილიას წინააღმდეგ მიმართული საყვედურები იმასთან დაკავშირებით, რომ მხატვრული თვალსაზრისით, ისინი ნაკლებად ფასეულია. საქმეც ისაა, რომ ილია, როგორც რეალისტი მწერალი, მხოლოდ მხატვრული ამოცანების ხორცშესხმას არ ისახავდა მიზნად. მისი ნაწარმოებები მრავალფუნქციურია – შესაბამისად, არ შეიძლება, ილიას შემოქმედებას მივუდგეთ იმავე კრიტერიუმებით, რომლებითაც განვიხილავთ სხვა ეპოქების მწერალთა ნაწარმოებებს.

თუ რეალისტური აზროვნების ძირითად პრინციპად ვაღიარებთ მეტაფორას – მეტაფორულ (ანუ სინთეზის) პრინციპს, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თანამედროვე თეორიის (ვეჟბიციკაია 1990) მიხედვით, მეტაფორაში ყოველთვის მონაწილეობს ფარული უარყოფა. მაგალითად, „შუშანიკის წამებიდან“ მოხმობილი მეტაფორა: „მოვიდა მგელი იგი“ ზემოდასახელებული თეორიის თანახმად, ამგვარად განიმარტება: „შეიძლება ითქვას, რომ ეს ვარსკენი კი არ იყო, არამედ – მგელი“, ხოლო როდესაც, მაგალითად, პოეტი მიმართავს სატრფოს „ვარდო კოკობო“, ამ მეტაფორის ექსპლიკაცია იქნება: „შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო არა ქალი, არამედ – კოკობი ვარდი“ და ა.შ. (სიტყვები „შეიძლება ითქვას“ მეტაფორის ექსპლიკაციისას იმიტომ გამოიყენება, რომ სინამდვილეში ვარსკენი და მგელი, ისე-

ვე, როგორც ქალი და ვარდი, განსხვავებული ობიექტებია – მხოლოდ ადამიანი მიაწერს მათ მსგავსებას და ახდენს ამ მსგავსების ენობრივ მანიფესტაციას).

რეალისტური ლიტერატურის და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის ტექსტებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ აქ ეს ფარული უარყოფა შემფასებლურადაა გააზრებული, ე.ი. მეტაფორის კომპონენტთაგან ერთ-ერთი ყოველთვის უარყოფითადაა დახასიათებული. გავიხსენოთ თუნდაც „მგზავრის წერილები“. ექსპლიციტურ მეტაფორაში, რომლის კომპონენტებია მყინვარი და თერგი, ილია უპირატესობას ანიჭებს თერგს: „მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მამონს და უფრო მიყვარს“, ხოლო დღისა და ღამის შეტოლებისას უპირატესობას ანიჭებს დღეს. ორივე შემთხვევაში მეტაფორის შემადგენელი ელემენტები ბუნების მოვლენებია, ანუ ისინი, ობიექტურად, განურჩეველია ადამიანისთვის – არ შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი მათგანი უფრო მისაღებია, მოსაწონია, მეორე კი – ნაკლებად მიმზიდველი. ამგვარად, ისინი, ზოგადად, ტოლფასია. შემფასებლური თვალსაზრისი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ბუნების ამ მოვლენათაგან ერთ-ერთს, მათ მეტაფორის კომპონენტებად აქცევს და პირველი ექსპლიციტური მეტაფორა ამგვარად განიმარტება: „შეიძლება ითქვას, რომ მყინვარი ცუდია, მიუღებელია, ხოლო თერგი – კარგია, მოსაწონია“. ასევე, დღისა და ღამის შეპირისპირებისას: „შეიძლება ითქვას, რომ ღამე ცუდია, უბედურების მომტანია, ხოლო დღე – ნათელი და მოუსვენარი – კარგია“. ამგვარი შეფასება თვით ილიას მიერ აშკარადაა გამოთქმული ტექსტში. ახალი მხოლოდ ისაა, რომ აქ ვიხილავთ მეტაფორული წყვილის შექმნის პრინციპს – ილიას, როგორც რეალისტი მწერლის, აზროვნების პრინციპს. ისიც აშკარაა, რომ აქ მეტაფორები წარმოიქმნება სელექციის, შერჩევის საფუძველზე. იგულისხმება, რომ ბუნების ორი ობიექტი ურთიერთშენაცვლებადია, პარადიგმატულ წყვილს წარმოქმნის, ანუ თავდაპირველად ხდება ნებისმიერი ორი ობიექტის მეტაფორული ურთიერთმიმსგავსება, მათ შორის ანალოგიის მიმართების დამყარება, შემდეგ კი – სელექცია: „არა მყინვარი, არამედ – თერგი“, „არა ღამე, არამედ – დღე“. ილიას შემოქმედებაში ეს პრინციპი თანმიმდევრულადაა ხორცშესხმული.

„პოეტი“ ილის შემოქმედების, როგორც გარკვეული სისტემის, ორგანული ელემენტია, თუნდაც იმის გამო, რომ ის ემყარება მეტაფორულ პრინციპს – მასში პოეტი შუამავალია ღმერთს, ღვთაებრივ ძალას და, მეორე მხრივ, ადამიანს შორის:

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარუძღვე წინა ერსა.

ღმერთი, რომელიც აქაა ნახსენები, იმგვარი არაა, როგორც, ვთქვათ, რომანტიკოსთა პოეტურ ტექსტებში – ის ტრანსცენდენტური სამყაროს მკვიდრი კი არაა, არამედ – ადამიანის მსგავსი არსებაა. ის ელაპარაკება ადამიანს, განსაზღვრავს მის მიზანს და ა.შ.

თუ დავაკვირდებით ამ ლექსს, შევამჩნევთ, რომ აქ პოეტის დანიშნულება იმგვარი არაა, როგორც ადამიანის ჩვეულებრივი დანიშნულებაა ამქვეყნად – ანუ, მასზე აღმატებულია. რატომ? იმიტომ, რომ ილიას ლექსში ხაზგასმულია პოეტის, როგორც ღმერთსა და ადამიანს შორის შუამავლის როლი. პოეტი ერთდროულად ღვთაებრივიცაა და ადამიანურიც. ის ღმერთის მიერ ხელდასხმული, განსაკუთრებული ადამიანია, თუმცა, რომანტიკული ლიტერატურის გამირთაგან განსხვავებით, არ უპირისპირდება ერს, მისი „მოძმეა“, მისი სამსახურისთვის არის მზად. ამგვარად, მედიაციას, რომელიც მეტაფორაში ხორციელდება ობიექტთა მიმსგავსების და შემდეგ ასიმეტრიული მიმართების დამყარების საფუძველზე (*„მაშინ ციდამ ნაპერწკალი /თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა, /მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ...“*), პოეტი ახორციელებს – სწორედ ის აკავშირებს ერთმანეთთან ღმერთსა და ერს.

ცნობილია, რომ გამორჩეული, განსაკუთრებული პიროვნება, რომელიც უპირისპირდება საზოგადოებას, დამახასიათებელი არ არის რეალისტური ლიტერატურისთვის. სხვანაირად არც შეიძლება იყოს – სხვა შემთხვევაში სახეების ტიპურობა, განზოგადებულობა მიუღწეველი იქნებოდა. განსაკუთრებული არაა არც ილიას „პოეტის“ ლირიკული გმირი, რომლის განსაკუთრებულობა განპირობებულია მხოლოდ მხოლოდ მისი განსაკუთრებული ფუნქციებით. ამ ლექსში „განსაკუთრებულობა“ არ მიეწერება თვით უზენაეს არსებასაც – ღმერთსაც, როგორც მეტაფორული წყვილის *ერი – ღმერთი* ერთ-ერთ ელემენტს.

„განდეგილში“ მეტაფორულ წყვილს წარმოქმნიან მწყემსი ქალი და მწირი.

განდეგილი „მხოლოდ ცისაა“, მხოლოდ სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს, მწყემსი ქალი კი – ჩვეულებრივი, მიწიერი ცხოვრებით, რომელსაც ბერი ბოროტების საუფლოდ მიიჩნევს. განდეგილის გზას ავტორი ერთმნიშვნელოვნად როდი გამოხს – ბერისადმი ღვთის წყალობის გამოხატულებაა სხივი, რომელზეც მწირი აყრდნობს თავის ლოცვანს. ამგვარად, ესაა დადებითი პერსონაჟი, ისევე, როგორც მწყემსი ქალი. მაგრამ ეს ნაწარმოები, როგორც რეალისტური ქმნილება, უდავოდ ანიჭებს უპირატესობას ბუნების წარმომადგენლის – მწყემსი ქალის თვალსაზრისს განდეგილის თვალსაზრისთან შედარებით (პრინციპით: არა X, არამედ Y). როგორც მეტაფორულ წყვილს, მათ გააჩნიათ მსგავსი ნიშან-თვისებები – ორივე მათგანს მიეწერება ამქვეყნიური ცხოვრების სიყვარული, მაგრამ ისჯება ის, ვინც ამ ცხოვრებაზე უარს ამბობს. ნიშანდობლივია თვით სხივის სახე, ისევე, როგორც ცისარტყელი-სა (*„აჩრდილში“*). ერის კეთილდღეობის სიმბოლოს წარმომადგენს შვიდფერი ცისარტყელა, ხოლო ერთი პიროვნების სულიერი ზეობისას – სხივი, სინათლე. ორივე მათგანი შუალედური ინსტანციაა ზეცასა და მიწას, ღმერთსა და ადამიანებს შორის.

შრომა გარდამავალი საფეხურია (*„მედიატორია“*) ბუნებასა და კულტურას შორის (იხ. რეალისტურ ლიტერატურაში შრომის მოტივის როლის შესახებ

სმირნოვი 2000). ამიტომ ილიას მთელი შემოქმედების დამახასიათებელია შრომის აპოლოგია: მაგალითად, ცნობილი პასაჟი „აჩრდილში“ შრომის ახსნის შესახებ, „ოთარაანთ ქვრივში“ მთავარი პერსონაჟების ძირითადი თვისება – შრომისმოყვარეობა, ხოლო „კაცია-ადამიანში“ მთავარი პერსონაჟების უარყოფითი დახასიათება მათი სიზარმაცის, უქნარობის, უმოქმედობის საფუძველზე და ა.შ. შრომის აპოლოგია გვხვდება ილიას ლირიკაშიც.

ილიასთან ავტორი გვევლინება აღწერილი სცენის კომენტატორის როლში და ამიტომ შუამავალია „ობიექტურ“ ტექსტსა და მკითხველს შორის. კულტურისა და ბუნების, ისევე, როგორც სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთმიმართებას განაშუალებს ისეთი ცნებები, როგორებიცაა შრომა და გარემო, ხოლო საკუთარისა და სხვის ურთიერთმიმართებას – „ტიპურის“ კატეგორია (ვინაიდან ტიპური არის ის, რაც „ჩემიცაა“ და „სხვისიც“, რაც ატოლებს „მესა“ და „სხვას“.

ილიას შემოქმედებაში თემა სიცოცხლე-სიკვდილი აისახება შუალედური მდგომარეობების მეშვეობით (მწერალი ხშირად მიმართავს ძილის, როგორც სიცოცხლესა და სიკვდილს შორის გარდამავალი მდგომარეობის მოტივს. განსაკუთრებით საინტერესოა მისთვის ადამიანისა და საზოგადოების ავადმყოფობის მოტივები, ასევე – პერსონაჟების გაღვიძებისა და დაძინების მომენტები (ლუარსაბის გამუდმებული გორაობა ტახტზე, მისი სიზმარი, და ე.წ. ცრუაქტივობა) (რეალისტურ ლიტერატურაში ამ მოტივების პოპულარობის შესახებ იხ. სმირნოვი 2000: 52)

„გლახის ნაამბობის“ პერსონაჟები – დათიკო და გაბრიელი – სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლები არიან. მათმა ბავშვობამ ერთმანეთის სიყვარულში განვლო: „დათიკოს ვუყვარდი და მეც მიყვარდა“. დათიკოს უარყოფითი თვისებები მხოლოდ მისი სოციალური მდგომარეობითაა განპირობებული. აქაც მოქმედებს მეტაფორული პრინციპი – სელექცია შემფასებლური მიდგომის საფუძველზე – და დათიკო უარყოფით პერსონაჟად გვევლინება, გაბრიელი კი – დადებითად. რეალურად, რა თქმა უნდა, მეტატონებს შორისაც იყვნენ ზნემაღალი პიროვნებები და გლეხებს შორისაც – ზნედაცემულნი, მაგრამ ილიას, როგორც რეალისტი მწერლის კონცეფცია ემყარება სწორედ იმას, რომ დადებითი თვისებები მიეწერება ფიზიკური შრომით დაკავებულ ადამიანებს, უფრო ზუსტად კი – იმ სოციალური წრის წარმომადგენლებს, რომლებიც წარმოგვიდგებიან მედიატორებად ბუნებასა და კულტურას შორის.

ყოველივე ზემოთქმულის გამომდინარე, შესაძლებელია, ახლებურად განვიხილოთ „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლაც. აშკარაა, რომ ამ ბრძოლას ბიძგი მისცა ილიას ცნობილმა სტატიამ „ორიოდ სიტყვა..., შემდეგ კი – „გამოცანებისა“ და „კიდევ გამოცანების“ დაწერამ.

ქართველ მეცნიერთაგან პირველი (და ერთადერთი), რომელმაც აღნიშნა, ფაქტობრივად, ამ ბრძოლას არავითარი რეალური საფუძველი არ ჰქონდაო, იყო გრიგოლ კიკნაძე. სტატიაში „წერილები მეცხრამეტე საუკუნის

ლიტერატურის შესახებ“ მან ყურადღება გაამახვილა ილიას მიერ გამოთქმულ თვალსაზრისზე. კერძოდ, ილია აცხადებს, რომ სიტყვები ძველი და ახალი თაობა „ცალიერი და ფუყე სახელებია და დროს თავის პატრონს ჩაჰბარდნენ და საიდანაც მოსულან, იქ წავიდნენ. ამ სახელების ხმარება ჩვენში სხვა არა არის-რა, ბავშვობის მეტი, იმიტომ, რომ მარტო ენა-ამოუდგმელს ბავშვს შეჰფერის ხმარება იმისთანა სიტყვებისა, რომელთაც არც საგანი აქვთ, არც საბუთი, არც მიზეზი არსებობისა“.

„ამ შეხედულებიდან ჩანს, – წერს გრ. კიკნაძე, – რომ ყველაზე უფრო გაცხარებულმა მოკამათემ, ყველაზე უფრო დაუნდობელმა კრიტიკოსმა, ილია ჭავჭავაძემ, როდესაც დრო გავიდა და გადახედა განვლილ გზას, დაინახა, რომ – მიუხედავად განსხვავებისა – არსებითად არ უპირისპირდებოდა ახალგაზრდობის შეხედულებები ძველი თაობის შეხედულებებს... როდესაც მართლა ახალი მოვიდა, ილია ჭავჭავაძემ იგრძნო სიახლოვე და ნათესაობა ჩვენი საზოგადოებრივი აზრის იმ ფენასთან, რომელსაც იგი უნინ ასე მკაცრი ტონით ეკამათებოდა და ეკამათებოდა იმიტომ, რომ ახალ ვითარებას დამხვდურ საზოგადო მოღვაწეებზე უკეთ ითვალისწინებდა“ (ქრესტომათიული კრიტიკა 2004: 259).

სავარაუდოდ, მამებისა და შვილების ბანაკები არ წარმოიშობოდა და მათ შორის ათწლიანი ცხარე პოლემიკა და დაპირისპირება არ გაიმართებოდა, რომ არა ილია ჭავჭავაძის ინიციატივა. საფიქრებელია, რომ ახალგაზრდა ილიამ, რომლის აზროვნებასა და მსოფლალქმას განსაზღვრავდა მეტაფორული პრინციპი, ანუ ორი ობიექტის (ამ შემთხვევაში, „თერგდალეულთა“ და, მეორე მხრივ, „მამათა“ თაობის) მეტაფორული დაკავშირება, როდესაც ერთ-ერთი უარყოფითად ფასდება, მეორე კი – დადებითად (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამგვარი შეფასების რეალური საფუძველი არ არსებობს), თვითონვე წარმოქმნა მამათა და შვილთა დაპირისპირება იქ, სადაც კონფლიქტისთვის არსებითი მიზეზი არ არსებობდა.

ვფიქრობთ, ეს მოკლე მიმოხილვაც კი ადასტურებს, რომ ილია ჭავჭავაძის მსოფლალქმისა და მხატვრული აზროვნების ძირითადი პრინციპი მეტაფორული ხასიათისაა, რაც, ალბათ, საშუალებას მოგვცემს, ახლებურად გავიაზროთ მთელი მისი შემოქმედება.

დამონშებანი:

Krest'omatiuli K'rit'ik'a (me-19 sauk'une). T'. 2. Tbilisi: gamomtsemloba „ts'q'arostvali“, 2004 (ქრესტომათიული კრიტიკა (XIX საუკუნე). ტ. 2. თბილისი: გამომცემლობა „წყაროსთვალი“, 2004).

Lomidze T. *Kartuli Romant'izmis P'oet'ik'a*. Tbilisi: Ilias sakhelmts'ipo universitetis gamomcemloba, 2014 (ლომიძე თ. ქართული რომანტიზმის პოეტიკა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014).

Smimov I. P. *Megaistoriya*. Moskva: izdatel'stvo „Agraf“, 2000 (Смирнов И.П. Мегаястория. Москва: издательство «Аграф», 2000).

Vezhbitskaya A. *Sravnenie – gradatsiya – metafora*. Teoriya metafory. Moskva: izdatel'stvo «Progress», 1990 (Вежбицкая А. Сравнение – градация – метафора. Теория метафоры. Москва: издательство «Прогресс», 1990).

Yakobson R.O. *Dva Aspekta Yazyka i Dva Tipa Afaticheskikh Narusheniy*. Teoriya Metafory. Moskva: izdatel'stvo „Progress“, 1990 (Якобсон Р.О. Два аспекта языка и два типа афатических нарушений. Теория метафоры. Москва: издательство «Прогресс», 1990).

Tamar Lomidze
(Georgia)

Poetics of Ilya Chavchavadze: Main Trends

Summary

Key words: critical realism, Ilya Chavchavadze, basic principles of artistic thinking.

In order to determine the main trends of poetics and artistic thinking of Ilya Chavchavadze, it is necessary to find out what signs of critical realism are revealed in his work (the issue of ideas and ideals embodied in the works of Ilya Chavchavadze is thoroughly and thoroughly considered in the Georgian scientific literature. We explore only the basic principles characteristic of the specific artistic thinking and poetics of representatives of critical realism and, in particular, Ilya Chavchavadze).

One of the fundamental principles suitable for the classification of literary movements was formulated by Roman Jacobson. In particular, according to Jacobson, “it was often stated that metaphor dominated in schools of romanticism and symbolism, but we are still not sufficiently aware of the fact that the so-called “realistic” direction is dominated by metaphor, and this direction is the middle stage between the decline of romanticism and the birth of symbolism and opposes both of them. « Thus, Jacobson distinguished literary trends on the basis of what mode of thinking manifests itself in each of them — metaphor (synthesis) or metonymy (analysis).

This idea of Jacobson has not found wide application in literary criticism, not counting several studies, for example, the remarkable “Мегаистория“ by I.P. Smirnov. The ideas outlined in this book, we used in the analysis of Ilya Chavchavadze’s works.

As a result of the study, it turned out that, contrary to Jacobson’s point of view, the metonymic, analytical principle prevails in the artistic thinking of Georgian romantic poets. The question arises: what - metaphorical or metonymic pole of thinking is revealed in realism and, in particular, in the works of Ilya Chavchavadze?

According to the concept of I.P. Smirnov, a feature of realism is the metaphorical union of objects and phenomena. This property is typical for the works of Ilya Chavchavadze.

In particular, the expression of the metaphorical principle is that the works of Ilya Chavchavadze are multifunctional. They combine, on the one hand, artistic, and on the

other - didactic, political, philosophical and other functions. Accordingly, the accusations directed against Ilya Chavchavadze due to the fact that they are allegedly of little value from an artistic point of view are incorrect. But the point is that Ilya Chavchavadze, as a realist writer, did not set himself the goal of only achieving artistic goals. And since his works are multifunctional –respectively, they cannot be considered and evaluated using the same criteria that are used in relation to other writers.

Recognizing the principle of metaphor (synthesis) as the basic principle of artistic thinking in realism, we can recall that according to one interesting modern theory, the theory of A. Wierzbicka, there is always a hidden negation in the metaphor. From observations of realistic literature and, in particular, over the artistic texts of Ilya Chavchavadze, it is clear that this hidden denial is interpreted in them assessed, that is, one of the components of the metaphor is always characterized negatively.

In the poem *The Hermit*, the cowgirl and the hermit create a metaphorical pair. The hermit is entirely devoted to his spiritual aspirations, but the cowgirl lives an ordinary earthly life, which the hermit regards as the kingdom of evil. The path chosen by the hermit is not criticized by the author - a ray of light (on which the hermit can lay his prayer) is a manifestation of God's grace to the hermit. Thus, both the hermit and the cowgirl are good characters. However, in the poem as a realistic work, preference is given to the point of view of the cowgirl, rather than the hermit (according to the principle: not X, but -Y). Being a metaphorical couple, they have similar properties - both are attributed to the love of mortal life, but that character is punished who refuses it. The image of the ray of light is remarkable, as is the image of the rainbow in *The Ghost*. The symbol of the welfare of the people is the seven-colored rainbow, and the symbol of spirituality, the heights of one person is a ray of light. Both the ray and the rainbow are the middle instances between heaven and earth, between God and man. In *The Beggar's Tale*, both of the main characters are representatives of various social classes of masters and serfs. They are united by long-standing affection for each other. The negative qualities of the hero-master, as well as the positive qualities of the hero peasant, are due to their social position. Here the metaphorical principle operates - sedation based on the evaluation approach. Of course, among the gentlemen there were highly moral people, as well as among the peasants - immoral, but in the concept of Ilya Chavchavadze, as a realist writer, positive properties are attributed to people engaged in physical labor, or rather, representatives of the social stratum, which is a mediator between nature and culture.

Based on the foregoing, a conflict between the “fathers” and the “children” can be considered in a new way. It is well known that this conflict was initiated by an article by Ilya Chavchavadze and his “Mysteries”

The first (and only) among Georgian scientists, who noted that this conflict had no basis, was Grigol Kiknadze. After analyzing in detail the history of this conflict, he came to the conclusion that this conflict had no real basis.

The juxtaposition of «fathers» and «children» and a ten-year sharp controversy between the old and the new generations would not have arisen if it were not for the ini-

tiative of Ilya Chavchavadze. Apparently, young Ilya Chavchavadze, whose thinking and consciousness were determined by the metaphorical principle, divided Georgian society into two hostile camps (according to the metaphorical principle, which implies the connection of two objects according to the evaluation principle - not x, but y, even when there is no real basis to oppose them), and he himself gave rise to a conflict between generations where there was no substantial reason for the conflict and the opposition of two generations of Georgian writers and statesmen.

It seems that even this brief review confirms the metaphorical character of the world perception and artistic thinking of Ilya Chavchavadze, on the basis of which his work can be interpreted in a new way.